პრაქტიკული ინსტრუქციები ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის

2024

სარჩევი

შესავალი 3

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის შექმნის სამართლებრივი საფუძველი 5

2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის მიზანი და ფუნქციები 7

3. უწყებათაშორისი მიდგომის ელემენტები და საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები 10

4. ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის წევრების როლი და პასუხისმგებლობა 14

- მუნიციპალიტეტის მერი/მერის მოადგილე: 15
- მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი 16
- მერიაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება 16
- მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში 17
- საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლები 17
- სამედიცინო მომსახურების დაწესებულებები (ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი) 18
- სოციალური მომსახურების სააგენტო/სოციალური მუშაკი 18
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (საპატრულო/საუბნო პოლიცია) 19
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო: თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი 20
- იურიდიული დახმარების სამსახური 21
- სახალხო დამცველის აპარატი 22
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები 22

5. უწყებათაშორისი კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება 23

6. უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრები 24

7. ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის თანამშრომლობის პლატფორმა 25

გამოყენებული ლიტერატურა 30

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის) ფინანსური მხარდაჭერით პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

შესავალი

ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა გამოწვეულია გენდერული უთანასწორობით და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა სერიოზული სოციალური გამოწვევაა და მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის გენდერული თანასწორობის მიღწევას. ძალადობა აფერხებს ქალების სრულფასოვან განვითარებას და მათ ჩართულობას საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2023 წლის სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერული ინდექსის (SIGI) მეხუთე გლობალური ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში სამიდან ერთ ქალს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა; 2023 წლის განმავლობაში კი 10-დან ერთი ქალი გამხდარა ძალადობის მსხვერპლი[1]. საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფართო მასშტაბებს ასევე მოწმობს ოფიციალური სტატისტიკა. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის ბოლო მონაცემების თანახმად, რომელიც მოიცავს იანვრიდან სექტემბრამდე პერიოდს, ოჯახში ძალადობის ფაქტზე საქართველოში 8734 შემაკავებელი ორდერი გამოიცა, რომლის დროსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობას ქალები - 6534, ხოლო მოძალადეთა უმრავლესობას კაცები - 6270 - წარმოადგენენ.[2]

ქალთა მიმართ ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლა მოითხოვს ყველა პასუხისმგებელი დარგობრივი უწყების სისტემურ, თანმიმდევრულ და კოორდინირებულ მოქმედებას, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

ქალთა ფონდი „სოხუმი“, საერთაშორისო ორგანიზაცია BROT für die Welt-ის მხარდაჭერილი პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, 2009 წლიდან აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი რეფერირების სუბიექტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით. მუშაობის პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ძალადობის პრევენციის და მასზე ეფექტიანი და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სახელმწი-

1 https://www.oecd-ilibrary.org/sites/4607b7c7-en/1/3/2/index.html?itemId=/content/publication/4607b7c7-en&_csp_=a6be4df33c99961512705b97977ea566&itemIGO=oecd&itemContentType=book№:~:text=In%202023%2C%20nearly%20one%20in,it%20over%20the%20last%20year.

2 შსს-ს ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, ხელმისაწვდომია - https://info.police.ge/page?id=795&parent_id=786

ფო უწყებებს შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის გაძლიერება, რამაც განაპირობა 2021-23 წლებში ორგანიზაციის აქტიური მუშაობა მუნიციპალურ დონეზე უწყებათაშორისი კომისიების ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით.

დღეისათვის, ფონდი „სოხუმის“ ხელშეწყობით, ინსტიტუციონალიზებულია **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების <u>ოთხი</u> უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისია)**: სენაკის, ჩოხატაურის, ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტებში და მიმდინარეობს მათი ინსტიტუციური გაძლიერება.

ფონდი „სოხუმის“ ხელშეწყობით დაარსებული მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიები აერთიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის (გენდერული საბჭო, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, ბაგა-ბაღების ა(ა)იპის წარმომადგენლები, მერის წარმომადგენლები სოფლებში), სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამართალდამცავი უწყების, იურიდიული დახმარების ბიუროს, სასამართლოს, პროკურატურის, საგანმანათლებლო რესურსცენტრების და სკოლების წარმომადგენლებს, ადგილობრივი პოლიკლინიკების, ამბულატორიების სამედიცინო პერსონალსა და ადმინისტრაციას და ქალთა უფლებებზე მომუშავე ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

შეხვედრებზე ადგილობრივი რეფერირების სუბიექტები ეცნობიან სამართალდამცავი უწყებების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკას, ცვლიან ინფორმაციას ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭერის არსებულ პროგრამებზე და მომსახურებებზე და მსჯელობენ პრობლემებისა და გამოწვევების გადაწყვეტაზე.

მუნიციპალიტეტების მხრიდან ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის დანერგვისა და გაძლიერების მზაობის მიუხედავად, დღესდღეობით კომისიების საქმიანობა ნაკლებად ფორმალიზებულია და უფრო არაფორმალური სტრუქტურის ხასიათს ატარებს. კომისიებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი საქმიანობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ასევე შეინიშნება შესაბამისი ინსტრუქციების, სტანდარტებისა და ცოდნის ნაკლებობა, სისტემური, უწყვეტი და თანმიმდევრული საქმიანობის განსახორციელებლად.

წინამდებარე პრაქტიკული ინსტრუქციების უმთავრესი მიზანია მუნიციპალიტეტებში უკვე დაარსებული ან მომავალში შექმნილი ადგილობრივი უწყებათაშორისი კომისიებისთვის პრაქტიკული რჩევების შეთავაზება, ადგილობრივ დონეზე ოჯახში ძალადობაზე ეფექტიანი და კოორდინირებული რეაგირების განსახორციელებლად. დოკუმენტი ეფუძნება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სახელმძღვანე-

ლო მითითებებს[3] მუნიციპალურ დონეზე ინტერსექტორული საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს კომისიის წევრების ყოველდღიური მუშაობისთვის და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- გენდერული კომისიის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები
- მუნიციპალურ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის მიზნები, ფუნქციები და მრავალსექტორული და კოორდინირებული მიდგომის მნიშვნელობა;
- უწყებათაშორისი კომისიის წევრების როლები და მოვალეობები
- უწყებათაშორისი კომისიის სხდომების ორგანიზება
- მონაცემთა შეგროვება და ანგარიშვალდებულება
- უწყებათაშორისი კომისიის წევრების ტრენინგები და უნარების გაძლიერება;
- ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის თანამშრომლობისა და ანგარიშვალებულების გაძლიერება.

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის შექმნის სამართლებრივი საფუძველი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთი სახელმწიფო სტრუქტურაა ჩართული. ამ ბრძოლის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა უწყების მიერ დაკისრებული როლის გააზრებასა და ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე.

2017 წელს, საქართველოს მიერ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირების შემდეგ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდასაჭერად **კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა** აწარმოოს. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, ისეთი აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომების მიღებას პროცესში მონაწილე ყველა რელევანტური მხარისა თუ უწყების მიერ, რაც ერთიანობაში უზრუნველყოფს **ქალთა მიმართ ძალადობის**

3 გენდერულ ძალადობაზე მულტისექტორული რეაგირება, UNFPA, 2015, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://eeca.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Multisectoral%20response%20to%20GBV.pdf; გზამკვლევი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი განხორციელებისთვის, ეუთო (OSCE), 2023, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://www.osce.org/files/f/documents/8/0/543843.pdf

ფაქტებზე ყოვლისმომცველ რეაგირებას (მუხლი 7 (1)), ხოლო, მეორე მხრივ, მიღებული პოლიტიკისა და ზომების ეფექტიანი განხორციელებისთვის **უწყებათაშორის თანამშრომლობას**[4]. სტამბოლის კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, დააფუძნონ ერთი ან მეტი ოფიციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმ პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომლებიც მიმართულია ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი **ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ,** მათ შორის**, მუნიციპალურ დონეზე**[5].

სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში, შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე **უწყებათაშორისი კომისია**[6], რომლის უმთავრესი ამოცანაა სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ მიმართული პოლიტიკისა და განხორციელებული ზომების კოორდინაცია, განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება. უწყებათაშორის კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში[7].

ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა 25-მდე საკანონდებლო აქტში. მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება, განახორციელოს ღონისძიებები **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით**[8].

2024 წლის 22 დეკემბერს დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის **ეროვნული რეფერირების პროცედურები**“ (ეროვნული რეფერირების პროცედურე-

---

4 კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო; გვ. 40 ხელმისაწვდომია - Https://Rm.Coe.Int/Geo-Istanbul-Convention-And-Explanatory-Report-A4/16808d24c5

5 ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია), მუხ.: 10(1), ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

6 იქვე, მუხ. 12(6)

7 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილება „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 1; ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=4

8 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხ.: 16.4; ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=69

ბი). მათი ძირითადი მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას[9]. ეროვნული რეფერირების პროცედურები განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის **მსხვერპლთა დროული გამოვლენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად** სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობებსა და **კოორდინაციის წესს**[10], რომლის მიხედვითაც, **მუნიციპალიტეტებს, როგორც რეფერირების პროცედურების მონაწილე სუბიექტს,** დაევალა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის **იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირების განხორციელება და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაციისა და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფა.**[11]

აღნიშნული ვალდებულების ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე **მუნიციპალური** ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების **უწყებათაშორისი კომისიების დანერგვა, ადგილებზე რეფერირების მექანიზმის სუბიექტ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და კოორდინაციისთვის შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრა.**

2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის მიზანი და ფუნქციები

მიზანი

მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის შექმნის მიზანია ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საქმეებზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის გაძლიერება და ძალადობის პრევენცია და შემთხვევებზე რეაგირების გაუმჯობესება.

რეფერირების მექანიზმში ჩართული ცალკეული სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობები და კოორდინაციის წესი განსაზღვრულია საქართველოს მთავრო-

9 საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 1(1); ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?fbclid=IwAR3c98OHBioZhA7wZHMyMjdIU38if3DsmLLbymVJPJ0Pbq2ctE-2ae3YcMc&publication=0

10 იქვე, მუხ. 1(2)

11 იქვე, მუხ. 6(13); მუხ. 6 (15)

ბის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილებაში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“[12]. თუმცა მუნიციპალურ დონეზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე კოორდინაციის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია ადგილზე მოქმედი რეფერირების სუბიექტების გაერთიანება და მათი ერთობლივი მუშაობის მიზნების და ფუნქციების განსაზღვრა და ურთიერთქმედების კონკრეტული მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია.

უწყებათაშორისი კომისიის ფუნქციები

ცალკეულ მუნიციპალიტეტში არსებული უწყებათაშორისი კომისიის, როგორც **საკოორდინაციო მექანიზმის,** ფუნქციები შესაძლოა განსხვავებული იყოს ადგილებზე არსებული საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული კომისიების ძირითადი ფუნქციები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კოორდინაცია, მსხვერპლთა დაცვის და სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ინტეგრირებული მონაცემების შეგროვება და ერთიანი საინფორმაციო სისტემის/მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი პერიოდული განახლება (კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებში გენდერულ ჭრილში ოჯახში ძალადობის ფაქტების, ძალადობის ფორმების შესახებ სტატისტიკის წარმოება, არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია, ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების კვლევა, ძალადობის მსხვერპლთა მხრიდან მომსახურებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა; მონიტორინგი და შეფასება და ა.შ.);
- მუნიციპალურ პროგრამებში და ბიუჯეტებში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებაზე მორგებული სერვისების დანერგვის ადვოკატირება;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა და ამ მიზნით სოფლებში მერის წარმომადგენლებთან, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებებთან, სოციალურ მუშაკებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან (მათ შორის სოფლის ამბულატორიებთან), საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან, სასწავლო დაწესებულებებთან და სხვა შესაბამის უწყებასთან თანამშრომლობა;

12 იქვე მუხ. 1(1)

- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განცხადებების და წინადადებების განხილვა;
- კონკრეტულ შემთხვევებზე (ქეისებზე) შესაბამისი უწყებების მომსახურებაზე რეფერირება;
- საჭიროებისამებრ, ძალადობის მსხვერპლთათვის დამატებითი მხარდაჭერის და დახმარების მოძიება და მიწოდება;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ხელშესაწყობად დამსაქმებლებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, გაერთიანებებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობა;
- საერთაშორისო ან ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების გასაუმჯობესებლად და გასაძლიერებლად;
- საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე;
- ძალისხმევის გაერთიანება და კოორდინაცია ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებთან;
- საქმიანობის ერთობლივი პროცედურების და პროტოკოლების შემუშავება.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად **უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია** ორ ძირითად დონეზე ხორციელდება:

პოლიტიკური დონე, რაც მოიაზრებს ადგილობრივ დონეზე მაღალი დონის წარმომადგენელთა (მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების/მერების, პოლიციის, ჯანდაცვის, სოციალური, განათლების თუ მართლსაჯულების სფეროს მაღალი რანგის თანამდებობის პირები) მიერ ერთობლივად საკოორდინაციო/სამოქმედო გეგმების შემუშავებას, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის შესაბამისი რესურსების განსაზღვრას და ა.შ.

შემთხვევების მართვის/ქეის მენეჯმენტის დონე, რომელიც მოიაზრებს ე.წ. გადაუდებელი შემთხვევების მართვის მობილური გუნდის გაერთიანებას და სპეციალიზებული პროფესიონალების ჩართვას **შემთხვევების მართვის** საქმეში (მაგ., საპატრულო პოლიცია, პროკურორები, მოსამართლეები, სპეციალიზებული სამედიცინო მუშაკები, პედაგოგები, სოციალური სამსახურის სააგენტოს წარმომადგენლები/სოციალური მუშაკები, მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების

დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებები (მაგ., სოციალური მუშაკები, კოორდინატორები, ფსიქოლოგები), ქალთა სამოქალაქო ორგანიზაციები და ა.შ.). აღნიშნული სპეციალიზებული პროფესიონალები უფლებამოსილნი არიან, დაიცვან მსხვერპლი და მიმართონ ერთობლივ პრევენციულ ზომებს მსხვერპლის საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული გუნდის არსებობა საკოორდინაციო მექანიზმში მნიშვნელოვანია.

***** შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გუნდი ფლობს საკმაოდ სპეციფიკურ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის შემთხვევების ფაქტებზე და მათი მხრიდან კონფიდენციალურობის და ძალადობის მსხვერპლის პერსონალური მონაცემების[13] დაცვა მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ერთობლივ გაფართოებულ შეხვედრებზე კონკრეტული ქეისების გარჩევა არ არის რეკომენდებული. გაფართოებულ შეხვედრებზე შესაძლოა ზოგადი სახის ინფორმაციის გასაჯაროვება და განხილვა (შემთხვევების რაოდენობა, მსხვერპლთა გენდერული და ასაკობრივი ჭრილი, ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის არსებული გამოწვევები და გამოსავლის გზები, მსხვერპლის სპეციფიკურ შემთხვევაზე და საჭიროებაზე მორგებული სერვისების განსაზღვრა და რეფერირება და მსგავსი საკითხები).**

3. უწყებათაშორისი მიდგომის ელემენტები და საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები

ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობაზე უწყებათაშორისი რეაგირება წარმოადგენს ინტერვენციის ჰოლისტურ და კოორდინირებულ მიდგომას. სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყების კოორდინაცია უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობაგამოვლილი ქალისთვის/პირისთვის დროული, საჭიროებაზე მორგებული და ყოვლისმომცველი მომსახურების მიწოდებას. გარდა ამისა, კოორდინირებული მოქმედება ხელს უწყობს უწყებებს შორის რესურსების გაერთიანებას და ურთიერთშევსებას. მრავალსექტორული რეაგირება მიმართულია უწყებების მიერ პროგრამებისა და მოქმედებების ჰარმონიზაციისკენ და ეფუძნება თანამშრომლობის პრინციპს.

---

13 პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით (საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხ. 2 (ა), 01.03.2012, ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=33)

მრავალსექტორული მიდგომის ელემენტები

- **კოორდინაცია:** კოორდინაცია უზრუნველყოფს უფრო პროგნოზირებად, ანგარიშვალდებულ და ეფექტიან რეაგირებას ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის ფაქტებზე. ადგილობრივ დონეზე კოორდინაცია მოითხოვს, რომ უწყებათაშორისი კომისიის ყველა წევრი, მათ შორის მუნიციპალური ადმინისტრაცია, პოლიცია, საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებების, სოციალური სამსახურის წარმომადგენლები, პროკურორები და შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანამშრომლობდნენ და ქმნიდნენ ურთიერთქმედების ერთიან სისტემას, სადაც მათ მიერ განხორციელებული მოქმედება/ინტერვენცია ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს და უფრო ეფექტიანს და ქმედითს ხდის შედეგს.
- **ინტერვენცია/სერვისების მიწოდება:** უწყებათაშორისი ინტერვენცია გულისხმობს ძალადობაგამომვლილი/მსხვერპლი ქალების გადაუდებელი საჭიროებების იდენტიფიცირებას, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციების დაგეგმვას და არსებული რესურსების შესაბამისად ყოვლისმომცველი სერვისების მიწოდებას. ყველა ინტერვენციული ქმედება უნდა იყოს ორიენტირებული მსხვერპლის/ძალადობაგამოვლილი პირის სპეციფიკურ საჭიროებებზე.
- **შესაბამის მომსახურებებზე რეფერირება:** უწყებათაშორისი კომისია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძალადობაგამოვლილი ქალების შესაბამისი მხარდაჭერის და დახმარების სერვისებში რეფერირების/გადამისამართების საქმეში, რაც გულისხმობს კოორდინირებულ ძალისხმევას, გადაამისამართოს ძალადობის მსხვერპლი ყველა საჭირო მომსახურების მისაღებად, მაგ.: თავშესაფარში, ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრებში, სამართლებრივი დახმარების სერვისებში, ჯანდაცვის მომსახურების ცენტრებში, სოციალური კეთილდღეობის სააგენტოებში და ა.შ. კომისიის წევრები ერთობლივად აფასებენ ძალადობაგამოვლილი ქალის საჭიროებებს და განსაზღვრავენ ყველაზე დროულ და შესაბამის სერვისს. შეფასება გულისხმობს მსხვერპლის გამოცდილების მოსმენას, მისი სპეციფიკური საჭიროებების და სურვილების გათვალისწინებას.
- **პრევენცია და ცნობიერების ამაღლება:** ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის ძირეული მიზეზების კარგად გაცნობიერება და შესწავლა. ქალთა მიმართ ძალადობა განპირობებულია ორი საერთო ელემენტით: 1. მოძალადის მხრიდან ქალზე საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირების და მასზე კონტროლის სურვილი და 2. სოციუმში სტრუქტურული გენდერული უთანასწორობის და დისკრიმინაციის არსებობა.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია ამ ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორების კარგად გააზრება, გაანალიზება და მათი შემცირებისა თუ აღმოფხვრისთვის შესაბამისი სტრატეგიების განსაზღვრა. პრევენცია მოითხოვს

გრძელვადიან ინტერვენციას ქალის საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტატუსის გაზრდის უზრუნველსაყოფად და ისეთი სოციალური ნორმების ცვლილებას, რაც ძალადობრივი ქმედების მიმართ საზოგადოების მხრიდან შემწყნარებლობას და ნორმალიზებას განაპირობებს.

შესაბამისად, საკოორდინაციო მექანიზმში გაერთიანებული უწყებების ყველა წარმომადგენელი ერთად და ცალ-ცალკე უნდა მიმართავდეს ისეთ ქმედებას, რაც გამოიწვევს:

1. ქალის მიმართ ძალადობრივი ქმედების მიუღებლობას;
2. დამოკიდებულებების, ქცევების თუ ღრმად ფესვგამჯდარი რწმენების ცვლილებებს, რაც ოჯახში უთანასწორობას და ქალთა მიმართ ძალადობას მისაღებ მოცემულობად მიიჩნევს;
3. მოსახლეობის ფართო ინფორმირებას ქვეყანაში არსებული მხარდაჭერის სერვისებისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ.

იქედან გამომდინარე, რომ ცნობიერების ამაღლების საქმეში ქმედით როლს მედია თამაშობს, მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კომისიების მხრიდან მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაძლიერება. თავის მხრივ, აუცილებელია მედიის წარმომადგენლების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქებისას ეთიკური სტანდარტების დაცვა, მსხვერპლისა და მისი არასრულწლოვანი შვილების შესახებ პირადი ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავის შეკავება.

- **პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავება:** მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან მუნიციპალური პოლიტიკური დოკუმენტების ინიცირება, შესაბამისი პროგრამების თუ მომსახურებების გაუმჯობესების/შექმნის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და არსებული პროგრამების განხორციელების თუ მომსახურებების ხარისხის შეფასება.

უწყებათაშორისი კომისიების სახელმძღვანელო პრინციპები

უწყებათაშორისი კომისია, მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისას, უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით:

პარტნიორობა: ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობაზე ყოვლისმომცველი რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია უწყებათაშორის კომისიაში ჩართულ ყველა უწყებასა და ორგანიზაციას შორის სისტემური თანამშრომლობა;

მონაწილეობითი სტრატეგიული დაგეგმვა: გენდერული/ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ადგილობრივი პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივ ინტერსექტორულ სტრატეგიას, კონკრეტული მიზნებითა და აქტივობებით. სტრატეგიების და

სამოქმედო გეგმების, მათ შორის პროგრამების დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს მონაწილეობითი პრინციპით, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩართულობით.

მსხვერპლზე/ძალადობაგამოვლილ პირზე ორიენტირებული მიდგომა: უწყებათაშორის მექანიზმში ჩართული ყველა სერვის-პროვაიდერისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ძალადობაგამოვლილი ქალების და გოგონების უფლებები, საჭიროებები და ინტერესები. ეს გულისხმობს, რომ ყველა ინტერვენცია, მათ შორის ადგილობრივ დონეზე მიწოდებული ყველა მომსახურება მორგებული უნდა იყოს თითოეული ინდივიდის უნიკალურ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე.

გენდერული თანასწორობის განმტკიცება და ქალთა გაძლიერება - მნიშვნელოვანია ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ძირითად მიზეზად გენდერული უთანასწორობის და დისკრიმინაციის აღიარება. შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე პოლიტიკისა და მხარდაჭერის პროგრამებისა და მომსახურებების შემუშავებისას, აუცილებელია გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გამოყენება, რაც მიმართულია ქალთა გრძელვადიან გაძლიერებაზე.

დისკრიმინაციის გამორიცხვა - მიუღებელია დისკრიმინაცია პირის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით (ამასთან, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი ღონისძიება, გამიზნული იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ოჯახური ან/და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად);

კონფიდენციალობის უზრუნველყოფა - მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პერსონალური მონაცემების სრულყოფილი დაცვა. ძალადობაგამოვლილი ქალების და გოგონების უსაფრთხოება უმთავრესია. შესაბამისად, ცალკეული შემთხვევის მართვისას უწყებათაშორისმა კომისიამ უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობა. სასურველია, ძალადობის ინდივიდუალური შემთხვევების განხილვაში ჩაერთონ სპეციალიზებული პროფესიონალები. შესაბამისად, უწყებათაშორისი კომისიის ერთობლივ გაფართოებულ შეხვედრებზე კონკრეტული ქეისების გარჩევა არ არის რეკომენდებული. გაფართოებულ შეხვედრებზე შესაძლოა ზოგადი სახის ინფორმაციის გასაჯაროვება და განხილვა (შემთხვევების რაოდენობა, მსხვერპლთა გენდერული და ასაკობრივი ჭრილი, ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის არსებული გამოწვევები და გამოსავლის გზები, მსხვერპლის სპეციფიკურ შემთხვევაზე და საჭიროებაზე მორგებული სერვისების განსაზღვრა და რეფერირება და მსგავსი საკითხები).

4. ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის წევრების როლი და პასუხისმგებლობა

უწყებათაშორისი კომისიის გამართული ფუნქციონირებისა და რეფერირების მექანიზმის სუბიექტებს შორის ქმედითი თანამშრომლობისა და კოორდინაციისთვის მნიშვნელოვანია მისი წევრების პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.

ზოგადი პასუხისმგებლობები, რაც შესაძლოა უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შემავალ ყველა წევრზე განზოგადდეს, შემდეგია:

- შეხვედრებზე რეგულარული დასწრება და სამუშაო განხილვებში მონაწილეობა;
- კომისიის წევრების მხრიდან შეხვედრებზე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სეგრეგირებული სტატისტიკის მიმოხილვა (სქესის, ასაკის, მოწყვლადობის დამატებითი კატეგორიების გამიჯვნით: შშმ პირი, დევნილი, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები, სოციალური შემწეობის მიმღები და ა.შ.) და ამა თუ იმ კატეგორიის მსხვერპლთა/ძალადობაგამომვლილ პირთა სპეციფიკური გამოწვევების, საჭიროებების გამოკვეთა. ასევე, ისეთი გამოწვევების მიმოხილვა, რომელთაც კომისიის წევრი კონკრეტული სახელმწიფო უწყებები აწყდებიან;
- ადგილებზე არსებული შესაბამისი უწყებების თუ ორგანიზაციის მიერ მიწოდებული მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერის სერვისების შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა;
- უწყებების მხრიდან ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით ადვოკატირების წარმოება;
- კომისიის თავმჯდომარისთვის მინიმუმ კვარტალურად წერილობითი ანგარიშის მიწოდება (სტატისტიკის, არსებული გამოწვევების, საჭიროებების, ტენდენციებისა და დანერგილი სიახლეების შესახებ ინფორმაციის მითითებით);

‼ **მნიშვნელოვანია** უწყებათაშორისი კომისიის თითოეული წევრის მიერ ძალადობაგამოვლილი პირის/მსხვერპლის კონფიდენციალურობის პატივისცემა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, რაც გულისხმობს მსხვერპლის სახელის, გვარის, მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სოციალური კატეგორიის გაუმჟღავნებლობას, რითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.

!! გასათვალისწინებელია, რომ უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შემავალი წევრის შესაბამისმა უწყებამ ხელი უნდა შეუწყოს მის წარმომადგენელს შეხვედრებში მონაწილეობაში და კომისიის მუშაობაში ჩართვაში: შეხვედრებისთვის სივრცისა და დროის გამოყოფა, სამუშაო აღწერილობაში კომისიაში წევრობის შესახებ შესაბამისი ჩანაწერის შეტანა და უფლებამოსილების განსაზღვრა. უწყებათაშორისი კომიისის წევრობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ინსტიტუციური პასუხისმგებლობა და სამუშაო ვალდებულების ნაწილი და არა დამატებითი, ფაკულტატური ხასიათის ან მოხალისებრივი ფუნქცია.

ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის ცალკეული წევრის როლი და ფუნქციები

ქვემოთ მოყვანილია ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის წევრთა ჩამონათვალი და მათ მიერ წარმოდგენილი უწყებების ტიპიური ინსტიტუციური ვალდებულებები, როგორც ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე რეაგირების თვალსაზრისით, ასევე ის ფუნქციები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომისიების უკეთეს ფუნქციონირებას.

!! გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი კომისიის წევრების სია არ არის ამომწურავი. მუნიციპალიტეტებზე უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა დიდწილად დამოკიდებულია ცალკეული მუნიციპალიტეტის სტრუქტურაზე, სპეციფიკურ თავისებურებებსა და საჭიროებებზე.

მუნიციპალიტეტის მერი/მერის მოადგილე:

- კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა შესაბამის უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით;
- კომისიის მუშაობის ხელმძღვანელობა, კომისიის სხდომების მოწვევა და წარმართვა, კომისიის საქმიანობას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;
- კომისიის სამუშაო განრიგის დამტკიცება;
- კომისიის საერთო ხელმძღვანელობის განხორციელება და მისი საქმიანობის სამართლებრივი, მეთოდურ-საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- კომისიის მესამე პირებთან ურთიერთობაში წარდგენა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაბამისი პირისთვის მინიჭება;

- სხვადასხვა უწყებიდან სპეციალისტების ან/და დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევის უფლებამოსილება;
- კომისიის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ შესაბამისი უწყებებისთვის, მათ შორის საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, ცალკეული სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი

- მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის გამომწვევი/ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მუნიციპალური ღონისძიებების კოორდინირება;
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება;
- აქტიური თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის საბჭოსთან, სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, გენდერული თანასწორობის დაცვის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათთვის შესაბამისი ინფორმაციების და ანგარიშების მიწოდება;
- უწყებათაშორისი კომისიის სხდომებზე/შეხვედრებზე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების მიწოდება.

მერიაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (სკოლა/ბაღი) აქტიური თანამშრომლობა, ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების, კრიზისული ოჯახის იდენტიფიცირების და რეფერირების მიზნით;

- ძალადობის რისკ ჯგუფი/მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების შესწავლა და მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტის სერვისების მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკის წარმოება, პროგრამების შესრულების ხარისხზე და ეფექტიანობაზე მონიტორინგის განხორციელება და ოჯახში ბენეფიციარების, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ახალი პროგრამების დანერგვის ადვოკატირება;
- უწყებათაშორისი კომისიის სხდომებზე/შეხვედრებზე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების მიწოდება;

მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში

- შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამდებობის პირების ინფორმირება (მაგ.: მერი, მერის მოადგილე, მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი);
- ოჯახში ძალადობის რისკ ჯგუფის ოჯახების შემთხვევების იდენტიფიცირება და შესაბამის მუნიციპალური პროგრამების და მომსახურებების მონაცემთა ბაზის/სტატისტიკის წარმოება;
- ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, ოჯახში ძალადობის რისკ-ჯგუფების ინფორმირება ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმებისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის არსებული მომსახურებების შესახებ. საჭიროებისამებრ, შესაბამის სახელმწიფო თუ სამოქალაქო ორგანიზაციების მომსახურებებზე რეფერირება/გადამისამართება;
- უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება და ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების/მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული წინადადებების/რეკომენდაციების გაზიარება/შეთავაზება.

საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლები

- ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების ორგანიზება;
- ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, მშობლების ინფორმირება ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმებისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის ქვეყანაში არსებული მომსახურებების შესახებ;

- ძალადობის რისკ ჯგუფი/მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება და ბავშვზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა;
- ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე შემთხვევის გაანალიზება, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება;
- უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება, განათლების სფეროში ოჯახში ძალადობის დინამიკის, სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ქალთა/ბავშვთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების/მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად წინადადებების/რეკომენდაციების გაზიარება/შეთავაზება.

სამედიცინო მომსახურების დაწესებულებები (ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი)

- ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელის მხრიდან (მათ შორის, სოფლის ექიმი) გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პაციენტის ამოცნობა/შეფასება და შესაბამისი დოკუმენტირება;
- პაციენტზე ძალადობის ეჭვის გაჩენის ან თავად პაციენტის მიერ ძალადობრივ ქმედებაზე მითითების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების ან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის შეტყობინება;
- ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმებისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის ქვეყანაში არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება, ოჯახში ძალადობის დინამიკის, სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ქალთა/ბავშვთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების/მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შეთავაზება.

სოციალური მომსახურების სააგენტო/სოციალური მუშაკი

- სოციალური მუშაკის მიერ მოწყვლადი ჯგუფების ოჯახებში განხორციელებული ვიზიტის დროს, ოჯახებისათვის საინფორმაციო მასალის მიწოდება ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის, საკონსულტაციო და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზების თაობაზე;
- ოჯახური დავების მიზეზების შესწავლა, შესაბამისი ანალიზი და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარება;

- მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელება;
- შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მოძალადეთა რისკ ჯგუფების გამოვლენა და მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობა;
- საჭიროების შემთხვევაში დამცავი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობა;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა;
- მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება, ოჯახში ძალადობის დინამიკის, სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ქალთა/ბავშვთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების/მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შეთავაზება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (საპატრულო/საუბნო პოლიცია)

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილება ეროვნული რეფერირების პროცედურების ფარგლებში არის ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, აღკვეთა და შესაბამისი სამართალწარმოება;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერების პირობების შესრულების მონიტორინგი და დარღვევაზე რეაგირება; კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება;
- მსხვერპლის/დაზარალებულის ინფორმირება მისი უფლებებისა და დაცვის გარანტიების თაობაზე;
- ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლის მოთხოვნით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევაში, მსხვერპლის თანხმობით, მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში გადაყვანა;
- პენიტენციური დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მსხვერპლის (შშმ პირის შემთხვევაში, მათ შორის, მისი მხარდამჭერის) ინფორმირება ძალადობის ჩამდენი მსჯავრდებულის მიერ (მოძალადის) დაწესებულების შესაძლო დატოვების (გათავისუფლების, გაქცევის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლისა და სხვა) შესახებ.
- საპატრულო პოლიციის გამოძახება ხდება 112 ოპერატორზე ოჯახში ძალადობის ფაქტის ან შესაძლო ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე საპატრულო პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

- საუბნო პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის უნდა მიმართოს განცხადებით დაზარალებულმა/სავარაუდო მსხვერპლმა, ოჯახის წევრმა ან სხვა, შესაბამისად უფლებამოსილმა ორგანომ/დაწესებულებამ/პირმა და ასევე, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა; საუბნო პოლიცია ვალდებულია, განცხადების მიღებიდან კანონით დადგენილ ვადაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ოჯახში, სადაც ადგილი აქვს ძალადობას და გაეს საუბროს ოჯახის წევრებს. საჭიროების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, ძალადობის რისკ ოჯახთან და ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღოს ასევე მეზობლების, ნათესავებისა და შესაბამისი ორგანოების/პირებისაგან;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგროვებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სქესის, ასაკის, ძალადობის ფორმის, ლოკაციის მიხედვით სეგრეგირებულ მონაცემებს და აცნობს შესაბამის სტატისტიკურ და ანალიტიკურ მონაცემებს უწყებათაშორისი კომისიის წევრებს.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო: თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი

- მსხვერპლთა/დაზარალებულთა (მათზე დამოკიდებულ პირ(ებ)თან ერთად) თავშესაფრით ან კრიზისული ცენტრის ან სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულების მომსახურებებით უზრუნველყოფა;
- ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისა და სამართლებრივი დახმარების გაწევა;
- დროებითი სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში ან თბილისის კრიზისულ ცენტრში), კვებით, ჰიგიენისა და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა;
- თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების შესაბამისი ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ მსხვერპლის მიმართ არსებული რისკების შეფასება და საჭიროების დადგენა სტანდარტიზებული ინსტრუმენტის საშუალებით და შესაბამისი მომსახურების მიწოდება;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირისთვის კომპენსაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღებ მსხვერპლთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება და საჭიროებათა შეფასება;
- ძალადობის მსხვერპლთა არსებულ მომსახურებებზე წვდომის ხელშეწყობა;

- უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება, ოჯახში ძალადობის დინამიკის, სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ქალთა/ბავშვთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების/მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შეთავაზება.

იურიდიული დახმარების სამსახური

- უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა: მოწყვლადი, გადახდისუუნარო ბენეფიციარებისთვის, მათ შორის:
  - ოჯახში ძალადობის ან/და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლისათვის სამართლებრივ საკითხზე კონსულტაციის გაცემა, მათ შორის, სატელეფონო (1485) და ონლაინ, სამსახურის აპლიკაციის საშუალებით;
  - სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენა (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.);
  - საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში;
  - საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე;
  - ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გაწეული იურიდიული კონსულტაციების სტატისტიკის წარმოება სქესის, ასაკის და მოწყვლადობის სხვა კატეგორიების მიხედვით და უწყებათაშორისი კომისიის წევრებისთვის შემთხვევათა ზოგადი ინფორმაციის გაზიარება (კონფიდენციალურობის დაცვით);
  - კომიისიის დანარჩენ წევრებთან ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის და რეაგირების ეფექტიანი გზების დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

გასათვალისწინებელია:

!! **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლს,** როდესაც მის მიმართ **„დამცავი“** ორდერის გამოცემის საკითხს განიხილავს სასამართლო, უფლება აქვს, ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატით, მიუხედავად მისი გადახდისუნარიანობისა, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი; ხოლო პოლიციის მიერ **„შემაკავებელი“** ორდერის გამოცემისას, ამ უფლებით სარგებლობა მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია, თუ იგი გადახდისუუნაროა.

!! ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, გადახდისუნარიანობის მიუხედავად, ასევე, უზრუნველყოფილია საადვოკატო მომსახურებით „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23[1] მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ იმ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან.

სახალხო დამცველის აპარატი

- ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა არასათანადო მოპყრობის საქმეების განხილვა და გამოძიების წარმოება;
- სახელმწიფო უწყებებისთვის ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების გადასაჭრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და მიწოდება;
- უწყებათაშორისი კომისიების მუშაობაში ჩართვა და ძალადობის მსხვერპლის უფლებების დარღვევის პოტენციური სფეროების განსაზღვრა;
- უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება, ოჯახში ძალადობის დინამიკის, სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ქალთა/ბავშვთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების/მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შეთავაზება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

- ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე კვლევების ჩატარება, კერძოდ:
  - ცალკეულ მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხის აქტუალობის/მასშტაბების შესწავლა;
  - ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება;
  - ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის ეროვნული, მუნიციპალური თუ საზოგადოებრივი სერვისების შესახებ ქალების ინფორმირებულობის და ხელმისაწვდომობის დონის შეფასება;
  - ქალების მხრიდან სერვისებისთვის მიმართვის მზაობის და სერვისების მოსარგებლეთა კმაყოფილების ხარისხის შეფასება;
  - ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების კვლევა და ა.შ.
- უწყებათაშორისი კომისიისთვის ოჯახში ძალადობის ტენდენციების და კვლევის მიგნებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
- კომისიის წევრების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტში ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და განხორციელებაში;
- უწყებათაშორისი კომისიის ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა (მაგ., ტრენინგების მიწოდების და მეთოდოლოგიური დახმარების გაწევის გზით).

5. უწყებათაშორისი კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება

უწყებათაშორისი კოორდინაციის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია კომისიაში შემავალი ყველა სერვის პროვაიდერისთვის სპეციალური ტრენინგ პროგრამის შეთავაზება.

მულტისექტორული გუნდის წევრებისთვის მიმართული სასწავლო პროგრამები უნდა მოიცავდეს გენდერული ძალადობის/ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე თეორიულ და სამართლებრივ ასპექტებს; ასევე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საქმეებზე ინტერვენციისა და რეფერირების პრაქტიკულ საკითხებს; უწყებათაშორისი კოორდინაციის, რეაგირების მნიშვნელობას და სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის როლსა და პასუხისმგებლობებს ამ პროცესში და ა.შ.

მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სახელმწიფო უწყებისთვის/ორგანიზაციისთვის, რომელიც ჩართულია ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის რეფერირების პროცესში. ტრენინგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი პოლიციისთვის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის წარმომადგენლობისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისთვის, სასამართლო ექსპერტიზის წარმომადგენლებისთვის და ნებისმიერი სხვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლისთვის. როგორც სტამბოლის კონვენციის განმარტებით ანგარიშშია გათვალისწინებული, VAW ტრენინგი უნდა იყოს მხარდაჭერილი და გაძლიერებული მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებით, რომლებიც ასახავს MCMDV-ის თითოეული წევრის მუშაობის სტანდარტებს.

მნიშვნელოვანია, სატრენინგო პროგრამას ერთვოდეს შესაბამისი პრაქტიკული სახელმძღვანელო.

უწყებათაშორისი კომისიის წევრებისთვის შეთავაზებული სატრენინგო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. **საბაზისო/საწყისი ტრენინგი** ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომელიც ფოკუსირდება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა და თანასწორობის კავშირი ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბებზე; ძალადობის ფორმები; ძალადობის მიზეზები და მისი შედეგები როგორც მსხვერპლზე, ასევე საზოგადოებაზე; ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები და ქვეყანაში არსებული მხარდაჭერის მომსახურებები; ძალადობის მსხვერპლთა კონფიდენციალურობის და პირადი მონაცემების დაცვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო და საერთაშორისო სტანდარტები;

2. **თემატური ტრენინგი** მოიცავს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მიმართ ინტერსექციულ მიდგომას და განიხილავს ისეთ საკითხს, როგორიცაა: განსაკუთრებული მოწყვლადობის მქონე პირების/რისკ ჯგუფების მიმართ განხორციელებული ძალადობა (მაგ. შშმ პირები, არასრულწლოვნები, დევნილი/კონფლიქტისგან დაზარალებული, იმიგრანტი/ლტოლვილი, ხანდაზმული, სოციალურად დაუცველი ქალები და ა.შ.); ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, როგორც ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი; ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმები და მასზე რეაგირების სპეციფიკური სერვისები მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
3. **მულტისექტორული ტრენინგი** - ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე მულტისექტორული თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის; კოორდინაციის მექანიზმში შემავალი თითოეული უწყების როლი და პასუხისმგებლობები ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების საქმეში; გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის/პროგრამების შემუშავება, საუკეთესო პრაქტიკები, ადვოკატირება.

6. უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრები

კომისიის შეხვედრების ორგანიზება

- კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კომისიის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.
- კომისიის შეხვედრები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.
- კომისიის სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის წევრებს.
- კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
- კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ მოიწვიოს და წარმართოს საკონსულტაციო, სამუშაო ჯგუფების ან საგანგებო შემთხვევის მართვას მიძღვნილი სხდომა.

***** შენიშვნა:** უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრების დროს არ არის რეკომენდებული ძალადობის კონკრეტული შემთხვევების გარჩევა, ძალადობის მსხვერპლის კონფიდენციალურობის და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. კონკრეტული შემთხვევების განხილვა ხდება შესაბამისი საგანგებო გუნდის მიერ საგანგებოდ ჩანიშნულ შეხვედრაზე. შესაბამისად, ერთობლივ გაფართოებულ შეხვედრებზე განიხილება ზოგადი სახის ინფორმაცია (შემთხვევების რაოდენობა, მსხვერპლთა გენდერული და ასაკობრივი ჭრილი, ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის არსებული გამოწვევები და გამოსვლის გზები, მსხვერპლის სპეციფიკურ შემთხვევაზე და საჭიროებაზე მორგებული სერვისების განსაზღვრა და რეფერირება და მსგავსი საკითხები).

კომისიის შეხვედრებისთვის მომზადება და წევრთა ანგარიშვალდებულება

მნიშვნელოვანია კომისიის შემადგენლობაში შემავალი უწყებების მხრიდან მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, კომისიის შეხვედრაზე ანგარიშის წარდგენა, რაც:

- უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მუშაობის პროცესში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე გამოკვეთილი ტენდენციების, მიღწევების თუ გამოწვევების შესახებ კომისიაში შემავალი წევრებისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას;
- ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის (სამოქმედო გეგმების, პროგრამების, მომსახურებების) შემუშავებას, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე;
- ხელს შეუწყობს უკვე არსებული პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებას;
- უზრუნველყოფს უწყებებს შორის ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას და გააძლიერებს კომისიის ანგარიშვალდებულებას;
- ხელს შეუწყობს კომისიის მუშაობის ხილვადობას და სანდოობას.

7. ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის თანამშრომლობის პლატფორმა

აღნიშნულ სექციაში აღწერილია ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის თანამშრომლობის გზები, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის ქმედითი სისტემის დანერგვას და ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებას.

7.1. ცალკეული დონის როლი და პასუხისმგებლობა

ცენტრალური დონე: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილია:[14]

- გამოითხოვოს გენდერული თანასწორობის პრინციპების დასამკვიდრებლად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელებისთვის საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისგან და დაწესებულებებისგან თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია;
- შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები, ასევე მიიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები თავის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისა და ანგარიშების მომზადების მიზნით;
- მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც წარუდგენს საქართველოს მთავრობას;
- შეითავსოს ოფიციალური მაკოორდინირებელი ორგანოს როლი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე.

7.2. რეგიონული დონე: სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია[15]

- გაუწიოს კოორდინაცია რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებს;
- შესაბამისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში შეიმუშავოს და განახორციელოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები და მონაწილეობა მიიღოს რეგიონული განვითარების ღონისძიებებში;
- მოამზადოს რეკომენდაციები და წინადადებები შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ საქართველოს მთავრობასთან წარსადგენად;

---

14 „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხ. 5, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6132798?publication=0

15 „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხ. 5, ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4449377?publication=0

- კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;
- კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას.

7.3. მუნიციპალური/ადგილობრივი დონე: ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია[16]

- განახორციელოს მუნიციპალიტეტში ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნობრივი პროგრამების დანერგვა და პროგრამების კოორდინაციის ხელშეწყობა;
- ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პრევენციასა და სწრაფ რეაგირებას;
- მოამზადოს წინადადებები ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- დანერგოს ერთიანი საინფორმაციო სისტემა, შექმნას მონაცემთა ბაზა და უზრუნველყოს მისი პერიოდული განახლება ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- განახორციელოს მუნიციპალიტეტში ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, აღრიცხვის, დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზების კოორდინაცია;
- წარადგინოს შესაბამისი წინადადებები საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის;
- ხელი შეუწყოს ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაკავშირებას და თანამშრომლობას პოტენციურ დამსაქმებლებთან, ბიზნეს ასოციაციებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან;

16 სენაკის მუნიციპალიტეტის მაგალითზე: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ, 13.11.2020.

- დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა დონორ, საერთაშორისო, საქართველოს ან უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან/იურიდიულ პირებთან (მათ შორის, ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება), ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით;
- უზრუნველყოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის შეუფერხებელი მიწოდება ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებსა და მომსახურებებზე;
- ხელი შეუწყოს შესაბამის უწყებებთან და სამსახურებთან, ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განცხადებებისა და წინადადებების განხილვას, დროული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით;
- ხელი შეუწყოს ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გადაუდებელი დახმარების გაწევასა და დროებითი განსახლების ორგანიზების კოორდინაციას;
- მუნიციპალიტეტის (საქართველოს) ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართვიანობის შემთხვევების დაფიქსირება და მუნიციპალური (სახელმწიფო) მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

7.4. თანამშრომლობის პლატფორმა

- მუნიციპალიტეტის უწყებათაშორისი კომისიების მხრიდან სამ თვეში ერთხელ სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციისთვის (გენდერზე პასუხისმგებელი პირისთვის) კომისიის მუშაობის ანგარიშების წარდგენა);
- სამხარეო ადმინისტრაციის მხრიდან მუნიციპალიტეტების უწყებათაშორისი კომისიების ან ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობაზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით, არანაკლებ 6 თვეში ერთხელ, შეხვედრების გამართვა, საუკეთესო პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის გაცვლის, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და არსებულ პრობლემებზე რეაგირების სტრატეგიების გამომუშავებისა და ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი და კოორდინირებული რეაგირების ხელშესაწყობად;
- წელიწადში არანაკლებ ორჯერ (6 თვეში ერთხელ), სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციის გენდერზე პასუხისმგებელი პირის მიერ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება და შესაბამის რეკომენდაციებთან და წინადადებებთან ერთად მთავრობასთან არსებული უწყებათაშორისი კომისიისთვის წარდგენა ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის გასაუმჯობესებლად;

- საქართველოს მთავრობაში მოქმედი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან, არანაკლებ წელიწადში ერთხელ სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციის გენდერზე პასუხისმგებელი პირებისა და მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიების თავმჯდომარეების ჩართვა თემატური სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების და კოორდინირებული რეაგირების გაძლიერების ხელშესაწყობად;
- საქართველოს მთავრობაში მოქმედი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან ადგილებზე რეფერირების მექანიზმში ჩართული სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობისა და კოორდინაციის მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და წარდგენა ადგილებზე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ხელშესაწყობად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გენდერულ ძალადობაზე მულტისექტორული რეაგირება, UNFPA, 2015, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://eeca.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Multi-sectoral%20response%20to%20GBV.pdf;
2. გზამკვლევი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი განხორციელებისთვის, ეუთო (OSCE), 2023, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://www.osce.org/files/f/documents/8/0/543843.pdf
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 05.02.2014, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=69
4. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/6081714?fbclid=IwAR3c98OHBioZhA7wZHMyMjdIU38if3DsmLL-bymVJPJ0Pbq2ctE-2ae3YcMc&publication=0
5. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, 01.03.2012, ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=33
6. „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4449377?publication=0

ქალთა ფონდი „სოხუმი“

პუბლიკაცია მომზადდა ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ საერთაშორისო ორგანიზაცია BROT für die Welt-ის მხარდაჭერილი პროექტის

„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

მუნიციპალური საკოორდინაციო მექანიზის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის

პრაქტიკული ინსტრუქციების შედგენაზე მუშაობდა:

ეკატერინე გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com;

fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi